ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20

"26" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვმ. ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ.ალაქ ოიბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ. ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის №46.14.910 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე არსებული 540.31 კვ.მ. ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844), პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის

ფორმით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განსაზღვრულია 1 წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**